№ 153 ივლისი 20, სამშაბათი — 1893 — ივლისი 20, სამშაბათი № 153

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1893


## ხოზის მონასტერთან

10—15 აგვისტოსათვის მზადდება მოვაჭრეთათვის კარვები. კარვების ქირა წინანდელთან შედარებით ნაკლები იქმნება.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ, ქალაქის გამგეობის ნება-დაურთველად ქალაქის განაპირა ადგილებში დასახლებულთ ქოხები აღარ დაუქციონ, ხოლო ახლად-კი ქოხი არავის დაადგმევინონ.

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორმა აუკრძალა „იტალიის“ ბაღის პატრონს ჭიდაობის გამართვა, რადგანაც იქ ამას წინად უწესოება მოხდა, ხოლო საზოგადოდ ჭიდაობა ქალაქში აკრძალული არ არის.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის მოადგილემ ნ. ი. სოკოლოვსკიმ უბრძანება ქალაქის ბოქაულებს, თვალ-ყური ადევნეთ, რომ ხორცი საკუთრად ამისთვის დანიშნულ, შიგნით ცინკით მოცულ ეტლებით გადიტან-გადმოიტანონ და ეტლებს უთუოდ ეწეროს „ხორცი“; ვინც ამას არ შეასრულებს, პასუხის გებაში მიეცემაო.

*** ჩვენ მივიღეთ სოფ. ყვარელში (თელავის მაზრა) შეგროვილი 9 მან. 30 კ. შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად. აი სია შემომწირველთა:

თ. ზენონ ალექსანდრეს ძე მაყაშვილი 1 მ., თ. ილია ალექსანდრეს ძე მაყაშვილი 1 მ., გრიგოლ ალიხანოვი 50 კ., მნაცაკან ვართანოვი 1 მ., კონა ყასაზოვი 25 კ., სანდრო კირვალიძე 40 კ., დავით ღონიაშვილი 20 კ., გერასიმ სარქისოვი 20 კ., ტიტიკო ოჰანეზოვი 10 კ., იაგორ არუთინოვი 20 კ., ნიკოლოოზ იორამიშვილი 1 მ., ილიკო ნაბიჭვრიშვილი 10 კ., ფიდო მამულაშვილი 20 კ., იაგორ კიკილაშვილი 15 კ., თ. ირაკლი ჭავჭავაძე 1 მ., თ. მიხეილ ჭავჭავაძე 1 მ., იაგორ პატოვა 1 მ. სულ 9 მ. 30 კ. ამ ფულისა გვქონდა 51 მ. შესდგა 59 მ. 30 კაპ.

*** ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიასთან მომავალ სამოსწავლო წლიდგან დაარსდება პარალელური VII კლასი და გაუქმდება IV ამნაირივე კლასი.

*** 18 ივნისს დანიშნული იყო კრება ახლად არჩეულ ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების წევრთა-რწმუნებულთა. კრება არ მოხდა, რადგანაც უკანასკნელ არჩევნის დღიდგან ჯერ ერთი კვირა არ იყო გასული და შეიძლებოდა ვისმე საჩივარი შეეტანა, არჩევანები უკანონოდ მოხდაო.

მართლაც, ამ კრებაზედვე ექიმმა ქიუჩარიანცმა შეიტანა საჩივარი, რომლის განხილვამდე საკრედიტო საზოგადოების წევრთა-რწმუნებულთა კრება ველარ მოხდება.

*** საერო განათლების სამინისტრომ განიზრახა დააარსოს ყირიმში სასანიტარო ინსტიტუტი იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც გულისა ან ყელის ავადმყოფობა აქვთ. კავკასიის სწავლა-განათლების მზრუნველს მოუხსენებია მინისტრისათვის, რომ კარგი იქმნება ამ ინსტიტუტის განყოფილება კავკასიაშიც დაარსდეს, ბორჯომსა, აბასთუმანს, ანუ სხვა ადგილს, რადგანაც საუცხოვო ბუნება მეტადრე ფიჭვის ტყეების სიმრავლე ზემოდ აღნიშნულ ავადმყოფებს დიდადა შველისო.

*** 1 სექტემბრიდგან თავისუფლებდა თანამდებობა თელავის სასულიერო სასწავლებლის რუსულისა და ქართულის საეკლესიო გალობის მასწავლებლისა, რომელიც ვალდებულია კვირაში 8 გაკვეთილი აძლიოს და ამასთანავე სასწავლებლის ხორო ჰმართოს და რომლისთვისაც ჯამაგირად გადადებულია 480 მან. წელიწადში. ვისაცა სურს ეს თანამდებობა იკისროს, თავის თხოვნით თელავის სასულიერო სასწავლებლის მმართველობას უნდა მიჰმართოს.

*** ამ ივლისის 1 რიცხვიდგან 16-მდე ტფილისში ჩაუდენიათ ავაზაკობა და ბოროტება: უბრალო ქურდობა და კარების გატეხვა 9, ქურდობისათვის მომზადება 1, ყალბის ქაღალდის შედგენა 1, ძარცვა 2, ნაქურდალი აღმოჩნდა 1, ბავშვი მიუგდიათ 3, ჭრილობა 2, თავის მოწამვლა 1, თავის მკვლელობისათვის განმზადება 1, თავის მოკვლა 2, უეცარი სიკვდილი 1, ობიდური შემთხვევა 10, მკვლელობა 1, მ თავრობის წინააღმდეგობა 1, ცეცხლის წაკიდება 4.

*** ნახშირ-ტყიბულის საზოგადოებას განუზრახავს თავის თანხის გასამატებლად ახალი ობლიგაციები გამოსცეს 800,000 მანათისა.

*** ქ. ბათუმში 11 ივლისს მუსულმანებმა „შახსეი-ვახსეი“ იდღესასწაულეს. დიდითავში ცემა არის ხოლმე ამ დროს. ეხლაც 30 კაცამდე თავისის ხელით დაჭრილა და დაბეგვილა.

*** ჩინეთიდამ წამოსულან რავდენიმე მეცნიერნი, რათა შეისწავლონ გზების გაყვანის საქმე. ამ მოგზაურთ მოუვლიათ პეტერბურგი, მოსკოვი, სამხრეთ-რუსეთი და ეხლა მდინარე ვოლგით ასტრახანისაკენ დაშვებულან. იქიდგან კასპის ზღვით კავკასიაშიც მოვლენ.

*** ტფილისში ტელეფონის გაყვანა ხაზინას 17 ათასი მანეთი უჯდება. იმედი აქვთ, რომ ეს ფული ორის წლის განმავლობაში აიღონ აბონენტებისაგან.

*** ტფილისის ხელოსანთა მოურავი ბ-ნი ნაუმენკო, რომელიც ამ დღეებში იქმნა ამორჩეული, გუშინ დაამტკიცა ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა.

*** ცხინვალი: 9 ივლისს კიდევ გასძარცვეს ერთი ებრაელი, გვარად შიფთოშვილი, სოფ. ერედვში. ამ ურიას წაართვეს ცხენი თავის ბოხჩებით. როგორც თვითონ ურია ლაპარაკობს, ერთად-ერთი კაცი ყოფილა გამძარცველი, იარაღში, სუფთად ჩაცმულ-დახურული. იქვე სოფლის პირად წყაროა და წინ ვენახები მოსდევს. ამ ვენახებიდგან გამობძანებულა ეს თამამი ვაჟ-ბატონი და თოფი მიუშვერია საწყალ ურიისათვის და უბძანებია, გადმოდი ეხლავე ცხენიდგან, თორემ გაგათავებო. ამასაც [illegible] გაქცეულა. ჩამოურთმევია ცხენი, გასძღოლია წინა და არხეინად წასულა ტყისაკენ. ურია-კი მიჰრილა სოფელში და შეჰხვეწნია, აგერ აქავე მიუძღვის ჩემს ბოხჩებიან ცხენსა და მიშველეთო, მაგრამ ვერავის გაუბედნია. უთქვამთ, ამხანაგები ეყოლება და დაგვხოცვენო. ურიას ის უფრო უკვირს, ვერცხლის ქამარ-საათი და რამდენიმე ფულიცა მქონდა, მაგრამ ესენი არც ერთი არ მომთხოვაო.

*** იქიდანვე: ამ ჟამად გაცხარებული მკა არის ჩვენსკენ. შიგა და შიგ კალოსაც შეხვდებით შემბულს. რასაკვირველია, უფრო გაჭირვებულებისას, ვისაც სარჩო არ ეყო წლის დამლევამდე.

*** გაზეთ Нов. Обозр. ატყობინებს საკუთარი კორრესპონდენტი სტამბოლიდამ, რომ ტფილისიდამ 27 ივნისს გასული დელეგაცია მივა იერუსალიმს 20 ივლისს; იქიდგან პატრიარქ—კათალიკოზი მკირტიჩ I გამოემგზავრება დელეგაციითურთ 1 აგვისტოს ტრიესტისაკენ, ტრიესტიდგან-კი ან ვენა—ოდესა—ბათუმზე გამოივლის, ან ვენა—გალაც—ბათუმზე. მარშრუტი დადგენილ იქმნება იერუსალემშივე, როცა აქაური დელეგაცია მივა.

*** რედაქტორად რუსულ გაზეთის Юридическая Газета დამტკიცებულ იქმნა გამომცემელი ამ გაზეთისა დავით ბესარიონის ძე ჭიჭინაძე.

*** „Каспій“-ში დაბეჭდილი იყო ამბავი, ვითომც სომხური გაზეთი „მშაკი“ ისპობაო.

ეხლა იმავე გაზეთში დაბეჭდილია დეპეშა „მშაკის“ გამომცემლის ქ-ნ მელიქ-ადამალიანცისა, რომელიც არწმუნებს, რომ „მშაკი“ დროებით არის შეჩერებული, ვიდრე რედაქტორად დაამტკიცებენ წარდგენილ კაცსაო; ხოლო ეს დამტკიცება, როგორც [illegible].

*** 18 ივლისს, საღამოს შვიდს საათზე ინჟენერმა პეტრე ვსევოლოდის ძემ კორშმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ნიკოლოოზის ქუჩაზე სახლის ღია ფანჯრიდგან ჩემს მოსამსახურეთ გედევან დიმიტრაშვილსა და მიხეილ ბურჯანაძეს მოჰპარეს სამი ჩოხა და ვერცხლის 16 მასრა სულ 52 მან. ღირებულიო.

*** ამავე დღეს, ნახიჩევნის მაზრის მცხოვრებელი 15 წლის ქრისტეფორე არაქელოვი ბანაობის დროს მტკვარში დაირჩო.

*** 18 ივლისს ტფილისში რიყეზე მცხოვრებელნი იაკობ დრუჟინინი და პავლე ვორონინი წაიჩხუბნენ. დრუჟინინმა რამდენსამე ალაგას მსუბუქად დასჭრა ვორონინი. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს, დამნაშავე შეიპყრეს.

## მთავრობის განკარგულებანი

უმართებულესის სენატის ბრძანებით, ებოძათ:

ნადვორნი სოვეტნიკობა—ახალციხის მაზრის, ურაველის საპოლიციო განყოფილების ბოქაულს ილია გამრეკელს.

ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ტფილისის საპატიმროს უფროსის თანაშემწეს, მე—3 ხარისხისას, გიორგი კვალიაშვილს.

კოლეჟსკი სეკრეტრობა—ტფილისის

# ფელეტონი

## მონოპოლისტები და ბირჟის ბატონები

(წერილი ლონდონიდამ)

ლონდონში ერთი ფირმა არის სმიტისა და მისის შვილისა. ამ ფირმის საქმე ის არის, რომ გაზეთებსა და ჟურნალებს ურიგებს ხელის მომწერთ და ჰყიდის რკინის გზებზე. ლონდონის გაზეთების რედაქციები თავად არ ურიგებენ თავიანთ ხელის მომწერთ გაზეთებსა და ჟურნალებს. ამ საქმეს ეტანებიან ათასი წვრილმანი დამტარებელნი, საწვრილმანო დუქნის პატრონები და გამყიდველნი საწერ-კალამ-ქაღალდისა. ჟურნალ-გაზეთების საქმეთა მოწყობის შესახებ ინგლისში შემდეგ ვილაპარაკოთ ცალკე, ხოლო ამ ჟამად მივაქციოთ ყურადღება ზემოხსენებულს ფირმას გაზეთების დატარებისას.

ყოველ ცისმარე დღეს, დილის 5 საათზე, ლონდონის 8 დიდ რკინის გზის ვოგზლიდამ გადის და მიაქროლებს საგანგებო მატარებელი ჟურნალ-გაზეთებით დატვირთულ ვაგონებს. თითო მატარებელში რამდენიმე ვაგონია სმიტის ფირმით დატვირთული. ამავე დროს ლონდონის ქუჩებში მიჰქრიან ათობით მისი ეტლები, ოთხ ოთხ ცხენ შებმულები, სავსე ჟურნალ-გაზეთებით. 6 საათზე იწყებენ სიარულს თვით ლონდონისა და მის განაპირა მიდამოს რკინის გზების მატარებლები, რომელთაც აქვთ 180 სადგური. თითო სადგურზე საათში 15—20 მატარებელი გაივლის და მიაქროლებს იმავ გაზეთებსა და ჟურნალებს თითოეულ ამ სადგურისათვის. ორიოდე მაგალ. ცხადად დაინახავთ, რამდენს საქმეს უძღვება სმიტისა და მისის შვილის ფირმა. მარტო კანაფი, რომლითაც უნდა შეიკრას რამდენიმე გაზეთი ერთად აქეთ-იქით წასაღებად, ფირმას ეხარჯა 30,000 მან. წელიწადში! დაბრუნებულ და გაუყიდველ გაზეთებს ფირმა ჰყიდის წონით შესახვევ ქაღალდად და აქედამ შემოსდის წელიწადში 120,000 მანათისა ფირმასა ჰყავს 2,000-ზე მეტი გამყიდველი, შემკვრელ-დამკეცელი, ეტლით დამტარებელი; ამ ფირმის ადმინისტრაცია მთელი სამინისტროა თავის დეპარტამენტებითურთ: დეპარტამენტი წიგნებისა, ჟურნალებისა, განცხადებათა, სავაჭრო, სასტამბო, საკაზმო და საბიბლიოთეკო. რომ მართლა მთელი დეპარტამენტია თითოეულ აქ დასახელებულ საქმის გამძღოლი დაწესებულება, ესა სჩანს თუნდა იქიდამ, რომ წიგნების განყოფილებას ჰყავს 600 მეტი კომისიონერი... ფირმის წევრნი იღებენ ათას თუმნობით წლიურს შემოსავალს; ერთი მათგანი წევრია პარლამენტისა. პარლამენტის წევრად ყოფნა უდიდესი და უმაღლესი პატივი და დიდებაა უტიტულო ინგლისელისათვის.

ამ ფირმის მაგალითი დიდად საგულისხმოა. მართლაცა და, სმიტმა და მისმა შვილმა შეჰქმნეს თავიანთი სიმდიდრე არა მით, რომ მოიგონეს რამ ახალი, არა ახალის საქონლის წარმოებით; არც იმითი შეუძენიათ აუარებელი სიმდიდრე, რომ ძვირად და მამასისხლად ეყიდნოთ თავიანთი სავაჭრო საქონელი. სრულიადაც არა. პირ-იქით, ფირმამ დიდი სამსახური გაუწია საზოგადოებას, რადგან მთელს ინგლისში დაჰქონდა და დააქვს გაზეთები რამდენისამე საათით ადრე, ვიდრე ფოსტას და იმ ფასად, როგორც თვით ლონდონში ჰღირს: დიდი გაზეთი, 12 გვერდიანი, ყველგან იყიდება ნომერი 4 კაპეიკად. ეს ფირმა თავის გამდიდრებისათვის უფრო იმას უნდა უმადლოდეს, რომ გაასკეცდა და გაძლიერდა მოთხოვნილებანი ადამიანისა და გაადვილდა მისვლა-მოსვლა. სამოცის წლის წინად მთელ ლონდონის გაზეთებს არ უნდებოდათ იმდენი ქაღალდი, რამდენიც უნდება დღეს თითოეულს დიდს გაზეთს.

გაზ. Standard, Daily Telegraph, Daily Chronicle, Daily News და სხვანი იბეჭდებიან ყოველ დღე 150—250 ათასამდე ცალი, ხოლო ყოველ კვირეული Reinold's News-ი იბეჭდება 300 ათასი. თითოეული ნომერი ყველა ამ გაზეთისა 12 გვერდზედ ნაკლები არ არის. ის, ვინც უბ-

გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელეს [illegible] ზარათაშვილს [illegible] ტფილისის მაზრის სამმართველოს მოხელეს [illegible]ლოვ გვარამაძეს.

კოლეჟსკი რეგისტრატორებს — ტფილისის მაზრის უფროსის კანცელარიის მოხელეს ლუარსაბ ჩერქეზიშვილს და სიღნაღისას — შტატ გარეშე მე-X სარისხის მოხელეს დავით ბაზღერიშვილს.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ცხინვალი**, 16 ივლისი. დღეს ჩვენის ცხინვალის საზოგადოება ზღვასავით ჰღელავს, ბორბოქობს და თავისსავე ხელებს თითონვე ჰკბენს გამწარებული. ვინ იცის, რა ლექსით არ იხსენიებს მათ, ვინც ის შეჩვენებული ვაზის ჭია ჩამოათესლა აქ. ჩვენმა დახშულმა გონებამ იქამდისაც-კი მიაღწია, რომ 11 ამ თვისას ყრილობა მოახდინეს იმის შესახებ, რომ ვენახებს ნუ გასინჯავს საფილოქსერო დასიო. მოგეხსენებათ, პირველად ერთს, ტერ-სტეფანოვების, [illegible] გამანადგურებელი ჭია; შემდეგ იმისავე გვერდზედ იმის სახლიკაცის ვენახში. აღმოჩენის უმალვე აცნობეს მთავრობას. დაუყონებლივ ამოვიდა აქ ბ-ნი ხატისოვი და თან მოიყვანა ფილოქსერის საქმის მცოდნენი. იმათთან ერთად ამოვიდა რამდენისამე საპატიო თავადიშვილითურთ მაზრის უფროსიცა. დილის ექვსი საათიდგან დაიწყეს ვაზების სინჯვა ჯერ იმ ვენახების გარშემო, რომლებშიაც ეს დამღუპველი სენი ეგულებოდათ, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ვერა აღმოაჩინეს-რა. შემდეგ გადავიდნენ იქ, სადაც ნამდვილად ეგულებოდათ, სულ მცირე დასით, ასე, რომ იმათ გარდა სამი ოთხი თუღა შეიმძლავარეს, დანარჩენები გარედ დასტოვეს. რასკვირველია, სიფრთხილის გამო, რომ ფეხით არავის გაეყოლებინა რა. დაათვალიერეს და დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად მოდებული იყო ფილოქსერა. ვენახში შესვლა და გასვლა სასტიკად აუკრძალეს უცხო ხალხს.

ამას შემდეგ მოსულ სტუმართა და ადგილობრივთა შორის გაიმართა სამეურნეო საუბარი. მემამულე მცხოვრებლებმა რამდენიმე ფოთოლი უჩვენეს ვაზისა ერთნაირის კვერცხითა, რომელსაც ყვითელი და თეთრი ფერი დაჰცემდა. ეს კვერცხი დიდ მავნებლად არ ჩაუთვლიათ ნასწავლთ. შემდეგ ერთნაირი პატარა ბორჯღლიანი მატლი აჩვენეს, რომელსაც თავიანთებურად კოკონა ჭიას არქმევდნენ და თანაც თავიანთ მამულის ამომწყვეტად ასახელებდნენ. ეს ჭიაო, ამბობდნენ მამულის პატრონები, მუშაობს მხოლოდ მაშინ, როცა კვირტი ნორჩიაო და, რაკი კვირტი გაიზდება, მერე ვეღარას აკლებსო. ესეც დაუმატეს: ამისათვის მუშის დაქირავება ვიციით და ადვილადაც ვპოულობთ. მხოლოდ ძნელი მისთვის არის, ვისაც მუშის შოვნა სხვაფერ მუშაობისათვისაც უძნელდებაო. ამის შესახებ ასე დაარიგეს მცოდნეებმა მამულის პატრონნი: იმ დროს, როცა ვაზსა სხლავდეთ, იმ ალაგებს ცოტა ქვეით, სადაც კვირტი უნდა გამოიტანოს, კუპრი, ანუ ეტლებს და დროგებს რომ უსვამენ თვლებზედ ღერძების სატრიალებელ ადგილას, ის უნდა ირგვლივ შემოუსვათ, რათა მატლს გზა შეეკრას კვირტზედ მისვლისაო.

ამ დღეს ამითი გათავდა. მეორე დღეს [illegible] იმ პირობით, რომ იმ ორის ვენახის შესახებ ყოველსავე ღონეს ილონებდნენ, რაც-კი შეიძლებოდა. ასეც მოხდა. ორივე ვენახი აჩეხეს და წვა დაუწყეს. ეს აჩეხვა და დაწვა, რასაკვირველია, რამდენსამე კაცსა ჰქონდა მინდობილი და დანარჩენები-კი იმ ვენახების ირგვლივა მუშაობდნენ. ამ ორის ვენახის გარდა, მათ მახლობლად აღმოაჩინეს ფილოქსერა კიდევ მესამე ვენახში, რომელიც ეკუთვნის საყვარელიძეს. ამ ვენახსაც გუშინ, 15 ამ თვეს, დაუწყეს აჩეხა და წვა. ცხინვალელები გულ-არხეინად იყვნენ, სანამ მესამე ვენახშიც იპოვიდნენ რასმე, მაგრამ იმ დღიდან-კი, როცა მესამე ვენახშიც აღმოჩნდა, ცუდ გუნებაზედ შეიქმნენ და, ვინ იცის, რას არ ამბობენ. მიზეზიც ეს იყო კვირის ყრილობისა, რომელზედაც ლაპარაკი ჰქონდათ, რომ დასს ვენახებში ნუღარ შევუშვებთო. კარგია კიდევ, რომ ყრილობაშივე გამოჩნდნენ კეთილ გონიერნი, რომელთაც ჩააგონეს ხალხს, რომ დასი დიდს სარგებლობას მოუტანს ხალხსაო. ბოქაულიცა და მამასახლისიც ბევრს ელაპარაკნენ ხალხს და დაამშვიდეს.

ჯერ-ჯერობით ამითი გათავდა საქმე და, ღმერთმა ნუ ინებოს, რომ კიდევ სხვაგანაც გამოჩენილიყოს სადმე. ჯერ ეხლაც, გაიგებენ თუ არა, ესა და ეს ვენახი უნდა გასინჯონო, მაშინვე ზღვა წყალს მიახევებენ ვენახში, იმ განზრახვით, რომ ხელი შეუშალონ დასს, რომელიც გულ-დადებით მუშაობს.

დასასრულ, ვისურვოთ განქარვებულიყოს ეს გამანადგურებელი სენი. ამასთან არ იქნება ურიგო, ვიცოდეთ იმ გადამწვარ ვენახების პატრონების ვინაობა. ერთის პატარა ვენახის პატრონები, რომლებიც მრავლად არიან, ძალიან კარგადა სცხოვრობენ. თითქმის ყველანი სამსახურის კაცნი არიან. მეორე, შვილის ბადალის ვენახის პატრონები, ცოლიცა და ქმარიც დაიხოცნენ. და რჩათ მცირე წლოვანი შვილები, ხუთ-ხუთი. ამათში უმფროსი 14-ის თუ 15-ის წლის უნდა იყოს, დანარჩენები ხელით შესანახები არიან და ცხოვრებაც ამოდენა ობლებისა ეს ერთად ერთი ვენახი ღა იყო და სწორედ კარგი რამაც იყო. მესამე ვენახი ეკუთვნოდა ერთს თვრამეტ-ცხრამეტი წლის აზნაურს, რომელსაც ცასა და დედამიწას შუა აღარაფერი მო[illegible]ბოდა, იმის მეტი.

კვირიკელა

---

## ცრუ მზრუნველნი ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

(წერილი ქუთაისიდამ)

რაკი ქუთათურები დარწმუნდნენ, რომ ბ-ნი კ. ლორთქიფანიძე ნამდვილად დასახელებულია კანდიდატად საადგილ-მამულო ბანკის მმართველის ადგილზეო, მაშინვე გავრცელდა საზოგადოებაში ერთი ახირებული აზრი: ბ-ნ ლორთქიფანიძის გამოსვლით საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდამ ეს საზოგადოება დაიღუპებაო.

ამ აზრის შეთხზვასა და გავრცელებაში ორის ჯურის ადამიანთ უდევთ წილი: ერთნი გულ-წრფელი ხალხია და მართლა სჯერათ ის, რასაც ამბობენ; მეორენი-კი, ფიქრით სხვას ფიქრობენ და ენით სხვას უბნობენ. ესენი იმდენად ზრუნავენ „ქალაქის“ ბანკისა და მის წარმატებისათვის, რამდენადაც თქვენ, მკითხველო, გუშინდელ დღეზე ზრუნავთ.

ამ ნაირ ცრუ მზრუნველობისა და საზოგადოების ამრევ-დამრევების მოსარჯულებლად არც თქვენ შეგაწუხებდით, მკითხველო, თავს და არც მე შევწუხდებოდი, მაგრამ იმ გულ წრფელ ადამიანთ მიმართ, რომელთაც მართლა სჯერათ და ეშინიანთ, რომ ცუდად არ წავიდეს საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების საქმეები, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ზემო ხსენებულის შემცდარის აზრის შესახებ.

ის აზრი, რომ რომელისამე დაწესებულების ან საქმის რიგიანად წაძღოლისათვის საჭიროა იმ საქმეს ბურჯად ჰყავდეს პატიოსანი, მუყაითი და მცოდნე კაციო — ჭეშმარიტი აზრია. ამ მხრით თუ შევხედავთ მარტო საქმეს, მართლაც, დიდი დასაკლისი იქნება „ქალაქის“ ბანკისათვის ბ-ნი ლორთქიფანიძე. რადგან იგი ყოველისავე ზემოხსენებულის თვისებით არის აღჭურვილი; მაგრამ ესეც გავიხსენოთ, რომ ყოველივე საქმე დასაწყისშია ძნელი და, რაკი იგი კვალში ჩადგება და კარგ საფუძველზე დამყარდება, შემდეგ მისი წაძღოლა აღარ არის საძნელო.

ესეც რომ არ იყოს, ჩვენ დიდად სახიფათოდ და საზიანოდ მიგვაჩნია საზოგადოებისათვის მარტო ერთ [illegible] სასოებისა და იმედის მაზედ დამყარება. კაცი მუდამ ვერ შერჩება ერთსა და იმავე საქმეს. დღეს თუ ხვალ, ან ბუნების კანონით, ან თავის საკუთარის ანგარიშით გამოეცლება საქმეს და მაშინ საზოგადოებამ რა უნდა ჰქნას, თუ არ ეყოლა ხელთ მომზადებული და რიგიანი მუშაკი. ის არ ურჩევნია საზოგადოებას, რომ ერთ და იმავე საქმისათვის დამზადებული ჰყავდეს რამდენიმე კაცი, რომ, როცა ერთი რიგიანი ადამიანი გამოეცლება საქმეს, მეორემ დაიკავოს მისი ალაგი და ღირსეულად შეასრულოს ნაანდერძევი მოვალეობა? თუ-კი მართლა მოხდა ბ-ნ ლორთქიფანიძის ამორჩევა საადგილმამულო ბანკში და მის ნაცვლად სხვის ამორჩევა საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებაში, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ლორთქიფანიძე არც მაშინ დაიშურებს თავის რჩევასა და შრომას, თუ დასჭირდა მის მოადგილეს ან ერთი და ან მეორე, მაგრამ ეს ტყუილი შიშია.

ამას გვიმტკიცებს თვით ამ უკანასკნელის ბანკის ისტორია. როცა პირველი მმართველი ამ ბანკისა, ახალის კანონის ძალით, იძულებული შეიქმნა თავი დაენებებია ბანკში სამსახურისათვის, რადგან ერთ და იმავე დროს სახელმწიფო სამსახურშიაც ყოფნა და კერძო დაწესებულებაშიაც აკრძალული შეიქმნა, მაშინაც აღმოჩნდნენ ისე, როგორც დღეს, ზოგიერთნი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ საურთიერთო ნდობის საზოგადოება დაიღუპება, თუ მაგან თავი დაანება ჩვენს ბანკსაო. ამის გამო შეადგინეს კიდეც საჭირო თხოვნა და მიართვეს, სადაც რიგი იყო, დაეტოვებიათ იგი, კანონის მიუხედავად, ბანკის მმართველად. თხოვნამ არ გასჭრა. მმართველად სხვა აირჩიეს, მაგრამ ბანკი, არა თუ არ დაიღუპა, პირ-იქით წარმატებაშიაც შევიდა.

საურთიერთო ნდობის საზოგადოება ისეთ მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული თავიდამვე, რომ შიში არაფრისა არ უნდა ჰქონდეს. ეს ნიადაგი გახლავს თვით მისი წევრთა შეგნება და სიფხიზლე, რომლითაც იგინი მუდამ ეკიდებიან მათ მიერ გამოჩარჩნილ და ეხლა დავაჟკაცებულს პირმშო ყრმას — „ქალაქის ბანკს“. ყოველი მისი წევრი მხურვალე მონაწილეობას იღებს მის საქმეებში და ამის გამო თავიდამვე აქამომდე მუდამ ბეჯითს, სინიდისიერს და რიგიან კაცებს ირჩევენ საურთიერთო ნდობის საზოგადოების საქმეების წასაძღოლად. ეხლაც ამ ბანკის სვე-ბედი იმ ნაირ ბეჯით კაცთა ხელშია, რომ ეჭვი არ არის, თანდათან უფრო და უფრო წინ წავა.

ბოლოს მივმართავ ისევ ცრუ-მზრუნველებს და მოვახსენებ, რომ მათ მიერ არჩეული იარაღი ამ შემთხვევაში ორ-ნაირად სჭრის, ორ-პირი მახვილია და გაფრთხილდნენ, ხელი არ შეიჭრან. განვმარტავ ჩემს აზრს. თუ მართლა ასეთი დაუფასებელი მოღვაწეა ბ-ნი ლორთქიფანიძე, რომ მის გამოსვლით „ქალაქის ბანკს“ განსაცდელი მოელის, მაშ მისი ყოფნა იქ უფრო საჭირო არ არის, სადაც საქმე უფრო ცუდ მდგომარეობაშია? და ჩვენი საადგილმამულო ბანკი რომ სასურველ მდგომარეობაშია არ არის, — ეს თვით მინისტრმა აღიარა ბანკის ანგარიშების განხილვის შემდეგ, მაგრამ ამ საგანზედ მოვილაპარაკებთ უფრო ვრცლად შემდეგს წერილში.

---

რალო დამტარებელი იყო გაზეთისა ლონდონში 60—80 წლის წინად, ეხლა, რაკი გამრავლდა რიცხვი მკითხველთა და თვით გაზეთებისაცა, გახდა მილიონების პატრონი, მონოპოლისტი იმ ქვეყანაში, სადაც თავისუფალი ვაჭრობა და თაოსნობაა. აბა ერთი სცადოს ვინმე და შეეცილოს; სცადოს ვინმე და ისეთი გაზეთი ჰბეჭდოს, რომლის მიმართულებაც ფირმას არ მოსწონს! შეცილებისათვის დაჭირდებათ მილიონი ფული და ათვალწუნებულ გაზეთს ხომ რკინის გზაზედ არ ეღირება გასყიდვა. ნება და სურვილი უბრალო გაზეთის დამტარებელისა დღეს კანონი გამხდარა და ძალა-უნებურად ყველა ემორჩილება. ასეთმავე მონოპოლისტმა საფრანგეთში ჰაშეტმა (Hachette) არას გზით არ იყაბულა, რომ რადიკალების გაზეთებიც გაყიდულიყო რკინის გზებზედ. საქმე იქამდე მოვიდა, რომ პეტიცია წარუდგინეს პარლამენტს. პეტიციაზე ხელი მოაწერეს: როშფორმა, გიუ-დე-მოპასანმა, რიშპენმა და 26 კიდევ სხვა მწერალმა. აღმოჩნდა, რომ ჰაშეტს არავითარი უფლება და უპირატესობა არა ჰქონდარა... მაგრამ რას უზამთ? ერთად ერთი ღონისძიებაა — შეეცილოს კაცი და მეტოქეობა გაუწიოს, მაგრამ სად არის ამისათვის საჭირო მილიონები?

განა მოცილეობას შეუძლიან განა ბოლო მოუღოს მონოპოლიას? სრულიადაც არა. ერთის მაგიერ გაჩნდება ორი, ხუთი, ათი მონოპოლისტი. იმათ ყველას ეყოფათ საქმე, რადგან გაზეთის კითხვის სურვილი წლითი-წლობით ძლიერდება და ძნელია წინდაწინვე განსჭვრიტოს კაცმა, სადამდე მივა მომავალში ეს გაძლიერებული სურვილი. მოწინავე და განათლებული ნაწილი საზოგადოებისა უფრო იმ აზრს ადგია, რომ მონოპოლიას ბოლოს მოუღებს მხოლოდ თვით საზოგადოება და სახელმწიფო, რომელმაც უნდა აიღოს თავის ხელში რკინის გზები, გემთა საზოგადოებანი და ატაროს გაზეთებიო. სწორედ ისე, როგორც ფოსტის შესახებ მოიქცა სახელმწიფო. ფოსტა 50 წლის წინად საზარალო იყო სახელმწიფოსათვის, ეხლა-კი, კულტურის გამაღლებულის ზრდისა და მატების გამო, 52 მილიონს მანათს შემოსავალს აძლევს ფოსტა ინგლისის ხაზინას წელიწადში. მართალს ამბობს თუ არა ეს შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა, ამას მერმისი დაგვანახვებს. ხოლო საინტერესოა ის გარემოება, რომ ყველა აუარებელი სიმდიდრე კერძო კაცთა შექმნილა პირველად რკინის გზებისა და გემების დაახლოვებით, მათის შემწეობით; მერე ბირჟაზე დაბინავებულა საბირჟო ოინებისათვის და ბოლოს მონოპოლიის ფრთეთა ქვეშე შეუფარებია თავი...

მერე რა ადვილად მოსახერხებელია საქმე საბირჟო ოინებისა ბირჟის გაიძვერა ოინბაზებისათვის საზოგადოების ეხლანდელ გარემოებაში?! თვით კულტურა, ათასნაირი მოგონება, აღმოჩენანიც-კი დიდად შველის ეხლანდელ საქმიან კაცს, თავისი ოინები მოახერხოს, ჩაიდინოს, ვითომ გაუჭირდებათ თუ, რომ პარიჟიდამ, ლონდონიდამ, ან ჩიკაგოდამ ისე მოახერხონ, რომ ერთს კვირაში, ან ორიოდე თვეში სრულიად შესცვალონ ფასები, მაზანდები მსოფლიო ბაზრისა და გააღატაკონ ათასნი მშრომელნი..

მაისში, 1887 წელს გოლვა იყო ევროპაში და ეშინოდათ, რომ მოუსავლობა არ გვეწვიოსო. რამდენიმე მილიონერი — დრეიფუსი, ლევი, როტშილდი, ლემანი და სხვ. შეიკრიბებიან ერთად, დააარსებენ საზოგადოებას „საფრანგეთის საზოგადოება ხორბლით ვაჭრობისათვის“ და ლუვრს დაწერილ დეპეშებით ჰგზავნიან ბრძანებას, შეისყიდეთ პურები და ფქვილები შტეტინში, ლივერპულსა, ლონდონს, ჰამბურგსაო. 15 ივლისისათვის შესყიდულ იქმნა ნიუ-იორკს, ჩიკაგოს, ს. ლუის და ს. ფრანცისკოს 200 მილიონ ფუთამდე პური და ევროპაში კიდევ — 18 მილიონი და 90 ათასი ფუთი. ბირჟამ ღელვა დაიწყო, სპეკულიციამ უმწვერვალესობამდე მიაღწია — ყველა დატრიალდა და პურის ყიდვა დაიწყო. მაგრამ გვიან-ღა იყო — ბირჟის ბატონებსა და მეფეებს, რაც პური ყოფილიყო, სულ თვითონ ეყიდნათ. ორს კვირაზე პურმა აიწია ფუთზე 2 ფრანკიდამ 2 ფრანკამდე და 60 სანტიმამდე. ეს ბატონები ისხდნენ არხეინად პარიჟში და სთვლიდნენ მილიონობით მოგებას, მაშინ როდესაც ის საცოდავი წვრილი სპეკულიანტები და ვაჭარნი, რომელნიც გაფაციცებით ეცნენ იმათ მიერ ნაყიდს პურებს და ჰყიდულობდნენ, ძვირად გავყიდით და ფულს მოვიგებთო, სულ ერთიანად გალა-

## წერილი ბათუმიდამ

ასე და ამ გვარად მიდიოდა წინად ბათუმის ქართველთა სკოლის საქმე. მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ სკოლის წარმატება ცოტა არ იყოს შეფერხდა და ქართველთ მაჰმადიანის შვილებმაც უკლეს იქ სიარულს და სწავლას. სკოლის გამგეობა დიდად ცდილობდა, ეშველნა როგორმე ამ გარემოებისათვის. რომ უფრო გაემრავლებინათ სკოლაში რიცხვი მაჰმადიან ქართველთა მოსწავლეებისა, დანიშნეს ხოჯა, ხაფიზ ეფენდი, აჭარელი მაჰმადიანი, რომელსაც თთვეში 20 მანეთს აძლევდნენ, მაგრამ ყმაწვილების რიცხვი მაინც 1888—89—90 წლებში 7, 8—9 ზევით არ ადიოდა და უკანასკნელ წელს-კი იქამდის მივიდა, რომ მხოლოდ 4 ყმაწვილი-ღა იყო. ეს იყო მიზეზი, რომ გამგეობამ ხოჯა დაითხოვა, რადგანაც 4 ბავშვისთვის მისი ჯილდო აღარ ღირდა. ბათუმის ქართველთ სკოლაში მხოლოდ ერთი მაჰმადიანი ყმაწვილი სწავლობს.

ამ ბოლოს დროს ასე წავიდა ჩვენის სკოლის საქმე, ასე წავიდა ამისი საქმე იმ დროს, როცა ჩვენის სკოლის მოშორებით, ერთ მეჩეთის გვერდით, ქართველთ მაჰმადიანთ მოხუცებულს ხოჯას, გვარად უსეინ ეფენდი შარაბიძეს, 50 მეტი ქართველთ მაჰმადიანთ ყმაწვილები ჰყავს მოსწავლედ. უსეინ ეფენდი, რასაკვირველია, ძველებურის ოსმალურის წესით ასწავლის ანბანს და არაბულს ლოცვებს ყმაწვილებსა. ამ ხოჯასთან რამდენჯერმე ვიყავი და ბავშვების შესახებ საუბარი მქონდა. უკანასკნელად უსეინ ეფენდიმ ეს აზრი გამოსთქვა: თთვეში 10 მანათი მაძლიონ და ჩემს ბავშვებს იმ სასწავლებელში გადვიყვან და მეც იქ ვიქნები მასწავლებლადაო. ესეც იმ პირობით, რომ მომიხერხონ ბათუმის ვიცე-გუბერნატორთან და ჩემი ჯამე არ დავკარგო, თორემ, თუ ჯამე დავკარგე, მაშინ ამას არც 100 მ. ვიკისრებო. აი რა სთქვა კიდევ უსეინ ეფენდიმ:

— მე მოხუცებული ხოჯა ვარ. დიდი ხანია, რაც აქ, ამ ჯამესთან მექთე მაქვს. ეხლა მოხუცდი, მექთეს შენახვის თავი აღარა მაქვს, ცოტა თვალებიც აღარ მიჭრის; თუ თქვენ არ უპატრონეთ ამ ბავშვებს, შეიძლება ყმაწვილები სულ დაიფანტნენ და მეც ჩემი მექთე გავაუქმო, რადგანაც სწავლება ისე არ მეძნელება, როგორც „მექთეს“ შენახვა. აი ეხლაც მე ჩემს სამშობლოში, აჭარას, სოფელს კაპნის თავში მივდივარ ორის თთვით, რომ დავისვენო. მოგცემთ ფიცსა და აღთქმას ხოჯებისა და მოლების წინაშე, რომ მე 10 მანათად დიდის სიამოვნებით დავთანხმდები, თუ-კი მომცემენ, რომ ჩემი ბავშვები მთლად იქ გადვიყვანოვო.

უსეინ ეფენდიმ მითხრა ისიცა, რომ სკოლის გამგეობას ტყუილად გადუწყვეტია ბათუმის სამს ჯამეს, თვითეულს წლიწადში 50 მ. აძლიოს იმ პირობით, თუ ეს ჯამეები ხუთ-ხუთ ყმაწვილს წარმოადგენენო. ეს ფული უბრალოდ დაიკარგება, რადგანაც ორს ჯამეს მექთეები არა აქვს. აი, აქ, მხოლოდ ამ მესამე ჯამეს გვერდით არის მექთე; ეს ჯამე მეფეთის ჯამეაო. თუ ჩემსას არ დაიჯერებთ, ჰკითხეთ სხვებს, რომ ეს ასეა. როგორც შევიტყე, ბათუმის ყველა მოლებსა და ხოჯებს დიდი უსიამოვნობა ჰქონიათ ჩვენის სკოლის მასწავლებელ ხოჯა ხაფიზ ეფენდი აჭარელთან. სულ ამ უსიამოვნობის მიზეზია თურმე, რომ ბათუმის ქართველთ სკოლაში ქართველთ მაჰმადიანთ შვილები ასე ცოტანი ყოფილან.

ამ დღეებში ვიყავ ჩვენის სკოლის მასწავლებელ ხოჯა ხაფიზ ეფენდისთან, რომელიც ტომით ქართველია, სტამბოლის სასულიერო რუშტიაში გაყიდული აჭარელი. ჩვენს სკოლაში მოსწავლეთა სიმცირის გამო ამასთან მქონდა საუბარი და აი რა სთქვა:

— ჩემო ეფენდიმ, ჩვენის სკოლის საქმე იმიტომ წავიდა ცუდად, რომ ამ სკოლაში ვინც სწავლობდნენ და ვინც-კი სწავლა დაამთავრეს, თავიანთ მშობლებს არაფერში გამოადგნენ, ისევ მშობლებთან დაბრუნდნენ და იქ დაიწყეს ცხოვრება, როგორც სხვა უსწავლელმა ბავშვებმა. ამის გამო ყველამ ლაპარაკი დაიწყო, რომ ეს სკოლა რაიზე არსებობს, ან რა საჭიროა, თუ-კი იქ ნასწავლისაგან არაფერი გამოვაო. სწავლა დამთავრებულთა შორის ყოველ წელს რომ ერთი ან ორი წაეყვანათ აქედან სხვაგან და რამე საქმე ესწავლებინათ, თუნდ ფერშლობა და ხელოსნობა, ბოლოს ჰნახავდით, თუ ამათის მაგალითით წახალისებული ქართველი მაჰმადიანები რამდენს ყმაწვილებს მოიყვანდნენ სკოლაშიო, თვით დაიწყებდნენ ხვეწნას ყმაწვილები მიიბარეთო. ფულსაც-კი მოგცემდნენო, დაგარწმუნებთ, რომ ვიდრე ეს ასეა ჩვენს ხალხს სკოლის სარგებლობას. საქმით არ დაუმტკიცებთ, მანამდინ არავინ მოიყვანს შვილებს, ფულიც უბრალოდ დაიხარჯებაო.

უნდა ვსთქვათ, რომ ეს ხოჯა დიდის გამოცდილებითა და გულ-შემატკივრობით ლაპარაკობს ამ სკოლის და ქართველთა შესახებ და სურს, რომ ჩვენის სკოლიდამ გამოსული ბავშვები მართლა კარგი იყვნენ, მცოდნენი ზოგი ხელოსნობისა, და ზოგი ვაჭრობისა. სწორედ ასევე ილაპარაკეს მაჰმადიანთ ქართველთა ბეგებმა და აღებმა, რომლებიც-კი ბათუმში სცხოვრობენ და სწავლა განათლებას თანაუგრძნობენ.

ზ. ჭ.

## რუსეთი

ამ ნახევარ წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო ბანკში ზოგი-ერთა ცვლილება შემოიღეს საცდელად, რავდენიმე ოპერაცია მეტად კარგად წასულა. სიკეთე დასწყობია მეტადრე ვექსელებით ვალის გაცემის საქმეს (учетная операція). შარშან 1 იანვრიდგან 1 ივლისამდე აღებ-მიცემა ყოფილა მხოლოდ 81,000,000 მანათისა. წელს-კი 1 მაისამდე, ე. ი. ოთხის თვის განმავლობაში—110,000,000 მან. ,ანუ 36°/₀ მეტი. ეს საქმე უფრო კარგად წასულა სახელმწიფო ბანკის კანტორებსა და განყოფილებებში, რომელთაც 24,250,000 მ. მეტი უწარმოებიათ. პეტერბურგში-კი მხოლოდ 4,500,000 მან. მოჰმატებია, რის გამოც განუზრახავთ პეტერბურგშიაც ცალკე კანტორა დააარსონ. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ოპერაციის გაძლიერებით სახელმწიფო ბანკს შემოსავალიც მომატა. შარშან ექვს თთვეში აუღია 7,350,000, წელს-კი 8,070,000 მან. საყურადღებოა, რომ, თუმცა წელს მეტი ვალი გაიცა სახელმწიფო ბანკიდგან, მაგრამ ვალის გამტანნი წელს უფრო პირიანად გამოდიან და ვექსელები პროტესტამდინ ისე აღარ მიუყვანიათ, როგორც შარშან. 1 ივლისამდე პროტესტიანი ვექსილი ჰქონია ბანკს შარშან 1,050,000 მანათისა, წელს-კი მხოლოდ 210,000 მანათისა. პეტერბურგში არც ერთი ვექსელი არ წასულა პროტესტში. 1 ივლისს სახელმწიფო ბანკში და მის კანტორებსა და განყოფილებებში ნებადართული იყო ვალად გაცემა 1796 მემამულესათვის სოლო-ვექსელებით 14,162,360 მანათისა. ივნისის განმავლობაში ნებადართულია მიეცეს 50 კაცს 357,720 მან.; ზოგს ნება მიეცა კიდევ გაიტანოს ვალი 29,000 მან.; ჩამოერთვა უფლება გატანისა 52, 600 მან.; დაუკლეს 3,500 მან; ერთს აღუდგინეს ნდობა 1,400 მან. სულ 1 ივლისისათვის ნება დართულია ვალად გაიტანონ 1847 მამულის პატრონმა 14,491,380 მან. აქედგან უკვე გაცემულია 9,892,500.

აი რა ადგილის მამულის პატრონ თ მიეცათ ნება ვალის აღებისა, ანუ აუღიათ კიდეც:

| შავის მიწის მხარე (черноземная полоса) | რავდენ კაცს | ნება დართულია | გატანილია |
|---|---|---|---|
| შავის მიწის მხარე (черноземная полоса) . . . . | 989 | 8,697,947 | 6,053,360 |
| სხვა მხარეებში. . | 629 | 2,935,733 | 1,936,640 |
| ვაკე-მინდორი. . | 237 | 2,860,700 | 1,902,500 |
| სულ. . . . . | 1,847 | 14,491,380 | 9,892,500 |

—

გზათა სამინისტროს-მიერ გამოცხადებულია სტატიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რა შემოსავალი ჰქონია რუსეთის რკინის გზებს ამ წლის აპრილში. აპრილში შემოსულა 20,652,252 მან. (1892 წლის აპრილზედ 1,537,285 მან. მეტი); თვითო ვერსს შეხვდება 742 მან. (შარშან აპრილში 699 მ. ყოფილა). იანვრიდგან 1 მაისამდე შემოსულა 85,626,711 მან., ანუ თვითო ვერსზედ 3,077 მან. შარშან-კი შემოსავალი იყო 83,535,673 მან. ანუ ვერსზედ 3,053 მან. ზოგ გზას შემოსავალი მოჰმატებია, ზოგს-კი დაჰკლებია. ამიერ-კავკასიის რკინის გზას 1 იანვრიდგან 1 მაისამდე ამა წლისა მოჰმატებია შემოსავალი 965,442 მან.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** როგორც ეტყობა, ბრიტანიის მთავრობა ძლიერ გულგრილად ეკიდება სიამის საქმეს. გაზეთ „Times“-ში დაბეჭდილია ერთი წერილი სიამის შესახებ. ამ წერილის ავტორს ძლიერ კარგადა სცოდნია სიამის საქმე. სხვათა შორის, ავტორი სწერს, ძლიერ საშიშოა ინგლისის მხრივ სიამისადმი თანაგრძნობის გამოჩენა, რადგანაც შეიძლება სიამელებმა იფიქრონ, ინგლისი გვიშველის საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და დაგვეხმარებაო. სიამი სრულიად ღირსი არ არის თანაგრძნობისა. მთელს სიამში გავრცელებულია ავაზაკობა. ერს დიდძალი გადასახადი აწევს. სამართალი არ არსებობს სიამელებისთვის. ამიტომ სიამის შეერთება ევროპის რომელსამე სახელმწიფოსთან იქმნება ღირსეული სასჯელი სიამის მთავრობისთვის და ამასთანავე დიდი ბედნიერება სიამის ერისათვის.

**გერმანია.** გერმანიის ერთს გაზეთში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები შესახებ იმისა, რამდენი გარდასახადი აწვა გერმანიას მილიტარიზმის წინად და რამდენი გარდასახადი აწევს ეხლა. 1872 წელს იმპერიის გარდასახადი იყო სულ 169 მილიონი, 1891—92 წლებში-კი ეს გარდასახადი ავიდა 665 მილიონ მარკამდე. ამ გვარად სჩანს, რომ გერმანიის იმპერიის გარდასახადმა მილიტარიზმის გამო ერთი ოთხად იმატა! ხოლო 1893—94 წლის ბიუჯეტი იქმნება 727 მილიონი.

**ინგლისი.** დღევანდელ დეპეშიდგან მკითხველი შეიტყობს, რომ ინგლისის საზოგადოებათა პალატამ უკვე დაამთავრა ირლანდიის ბილლის განხილვა. ფრიად და ფრიად საყურადღებოა რადიკალის სტორის რეზოლიუცია, რომელიც ინგლისის პარლამენტის ქვედა პალატამ აგვისტოში უნდა განიხილოს. აი სიტყვა სიტყვით ეს რეზოლიუცია: „ბილლი, რომელიც ქვედა პალატის-მიერ სამჯერ იქმნა შეწყნარებული და მთავრობის-მიერ მოწონებული, უნდა გადიქცეს კანონად, ლორდთა პალატის სურვილის მიუხედავად.“

ლონდონიდგან იუწყებიან, რომ იქ დაიწვა მთელი უბანი, ს.-მერიექს, ბევის, მარკს და ბერისტრიტის ქუჩებ შუა. დიდი ხანია ლონდონი ასე ძლიერ არ დაუზარალებია ცეცხლსა. დილის 6 საათამდე დაიწვა 26 სავაჭრო სახლი. ცეცხლი პირველად წაეკიდა ბრაუნის სტამბას და ისე მალე გაძლიერდა, რომ, როცა ცეცხლის მქრობელი რაზმი მივიდა, 10 წამის

---

ტაკდნენ. გალატაკდნენ, იმიტომ რომ ივლისში ყანები გამოტრიალდა, მოსავალი კარგი მოვიდა და პურის ფასმა დაიწია 1 ფრან. და 87 სანტიმამდე, თითქმის 1 ფრანკი და 60 სანტიმი გახდა ფუთი.

1888 წელს ფულიან კაცების კომპანიამ როტშილდისავე მეთაურობით შეისყიდა ყავა ვესტ-ინდოეთში. ისე მოახერხეს საქმე, რომ სულ მცირე ხნის განმავლობაში ყავის ფასმა ერთი ორად აიწია, „ყავის მოსავალი სანტოს პროვინციაშიო (ბრაზილიაშია), ამბობდა გაზ. Constitutionnel, იყო 2,500,000 ტომარა... სპეკულაციაკი თითქმის 70 მილიონ ტომრის შეძენის სურვილს აცხადებდა და იბევებდა. ამით, რასაკვირველია, ყავის ფასმა ერთი ორად აიწია, ვიდრე 1887 წელს იყო. არ უნდა დავივიწყოთო, დასძენდა ამას გაზეთი, რომ ყავის მოსავალი მთელს დედამიწის ზურგზედ 12 მილიონ ტომარაზე მეტი არ არის. მოთხოვნილება-კი მისი 11 მილიონს არ აღემატება“. მაგრამ ბირჟის მეფეთ რის დარდი აქვთ და ამაებს რას დაეძებენ! რკინის გზისა, გემებისა, ტელეგრაფისა და ტელეფონის მეოხებით დიდის სისწრაფით ახერხებენ ყიდვა-გაყიდვას და ადვილად გადააქვთ ქვეყნის ერთს კუთხიდამ მეორეში აუარებელი საქონელი და ამით, როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ ბაზარს. ფულისა და კაპიტალისათვის ხომ არც სამშობლოა, არც მამულის სიყვარულია; ფულისთვის არც ის ზნეობის აზრები არსებობს, რომლითაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში ვხელმძღვანელობთ: ღელო გაიტანე, გაიმარჯვეო! აი ერთად-ერთი საწყაო ჭკუისა, გონებისა, პატიოსნებისა, მამულიშვილობისა. დიდი დარდი აქვთ არხიმილიონერებს ჩიკაგოში, თუ იმათს ქალაქში მსოფლიო გამოფენაა—ეს საეროვნო სიქადული ჩრდილო-შტატებისა! აფერისტებმა და ოინბაზებმა მოახერხეს იქ მონოპოლია პურისა, ხორცისა და ხე-ტყეს ვაჭრობისა და ეხლა ჩიკაგოში იმათის წყალობით ხან ერთი ფირმა კოტრდება, ხან მეორე; ხან ერთი ბანკი იღუპება, ხან მეორე...

მაგრამ უფრო საოცარი ოინი ამ ვაჟბატონებისა იყო 1888—89 წ. შესყიდვა სპილენძის მადნებისა და სპილენძისა საფრანგეთში. შესდგა სინდიკატი, რომელშიაც იყვნენ: როტშილდი, ბანკები განაღდებისა და პარიჟისა, ანდრე ჟირო და სეკრეტენი. ამათ მოიფიქრეს, მოდი და ხელში ჩავიგდოთ მთელის ქვეყნის სპილენძიო. მარტო რუსეთის სპილენძს, რომლის საქმესაც მთავრობა აწარმოებს, ვერ ჩასჭიდეს ხელი. დეპუტატ ლორის გამოანგარიშებით, ამ სინდიკატმა დაატრიალა დიდ-ძალი ფული, თითქმის მილიარდ ნახევრამდე. პირველად სინდიკატის ამბავი გამოცხადდა აგვისტოსა და სექტემბერს და 23 სექტემბრიდამ იწყებს მატებას ფასი სპილენძისა. 21 ოქტომბრამდე ფასმა დიდი არა მოიმატა-რა და 107 ფრანკი 50 სანტიმი ჰღირდა 100 კილოგრამი (5 ფუთი, 8 გირვანქა).

28 ოქტომბ. გახდა 116 ფრ. 25 სანტ.
4 ნოემბერს — 122 — 50
11 — — 127 — 50
18 — — 130 — „
25 — — 150 — „
2 დეკემბერს — 177 — 50
9 — — 185 — „
16 დეკემბერს — 205 — „
23 — — 214 ფრ. 25 სანტ.*)

ამ სახით, ორს თთვეში სპილენძის ფასმა ერთი-ორად იმატა. მრეწველობა და წვრილმანი ინდუსტრია დაეცა, განადგურდა, ათასი მუშა კაცი დარჩა მშრალზე, გარიყული. მაგრამ ყველაზე ძლიერ იზარალა მთავრობამ, რომელსაც დიდ-ძალი სპილენძი სჭირდება პატრონებისა, ზარბაზნებისა და სამხედრო ფლოტისათვის. საზოგადოება აღელდა და დანდგარი დაიწყო. გამოჩნდნენ ისეთი კაცნი, რომელთაც მოითხოვეს, ეგ ბრბო უნდა დაისაჯოს კანონის 412 მუხლის ძალით, რომელიც სდევნის ჩარჩებსაო. მაგრამ მათი დასჯა ვერავინ მოახერხა. ტყუილად ხომ არ არიან ბატონები ქვეყნისა და ხელში უჭირავთ განცხადება-სუბსიდიებით გაზეთები; სადილებითა, ნადიმობით, ბალებით და საჩუქრებით კიდევ— ოდესმე თავ-მომწონე თავად-აზნაურობა, წევრნი მაღისტრატურისა, პარლამენტისა და თვით მინისტრებიც-კი იმით უჭირავთ ხელში, რომ მოგებაში იმათაც წილს აძლევენ... პანამის საქმე ჯერ კიდევ არ ექმნება დავიწყებული მკითხველს.

პარიჟიდამ დეპეშები მოდიოდა ამას წინად, რომ როტშილდი და დიდი ფულის პატრონები არ ემორჩილებიან ახალს კანონს საბირჟო საქმეზე გადასახადის დაწესებისასო და ბირჟებზე, აგერ რამდენიმე ხანია, კაცი არა სჩანს ჰპჰანებათაო. რას უზამთ? ძალა იმათა აქვთ, კანონმდებლები ისინი არიან.

W. Vasiani

ლონდონი.

*) ეს ციფრები ამოღებულია დრიუმონის იგნიწდამ „La Fin d'un. Monde“

შემდეგ სახლის ჭერი ჩამოიქცა კიდეც. ზარალი 25 მილიონ მანათამდეა.

# დეპეშა

17 ივლისი

**პეტერბურგი.** „Правит. Вѣст.“ იუწყება, რომ 8 ივლისს გემი „ცარევნა“, რომლითაც მობრძანდებოდნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და უავგუსტოესი სახლობა, კუნძულ როკდოს ახლოს კლდეს დაეჯახა და ცოტათი დაშავდა. იმპერატორი და უავგუსტოესი სახლობა გადაბრძანდნენ გემზედ „ელეკენ“, მშვიდობიანად მივიდნენ ბიორკეს და აქედგან გემით „აზია“ მობრძანდნენ კრონშტატს.

სახელმწიფო ქონებათა. სამინისტროსთან არსდება საეკონომიო ბიურო.

**ლონდონი.** ბანგკოკიდგან იუწყებიან, რომ საფრანგეთის ესკადრის მთავარ სარდალმა გამოაცხადა სიამის ნაპირებს ზარბაზნებს ვესვრითო; უცხოელების გემებს სამის დღის ვადა მიეცათ, სიამის ნაპირებს დაშორდნენ. საზოგადოებათა პალატამ დაამთავრა განხილვა თითო მუხლობით ირლანდიის ბილლისა. როცა კამათობის დროს ჩემბერლენმა სიტყვა დაიწყო გლადსტონის წინააღმდეგ, ანტიპარნელისტებმა ჩემბერლენს რამდენჯერმე დაუძახეს: „იუდაო“; ზოგიერთ ანტიპარნელისტთა და კონსერვატორთა შორის ასტყდა ჩხუბი, მოწინააღმდეგენი ძლივს გააშველეს. ასეთი ამბავი არაოდეს არ მომხდარა ინგლისის პარლამენტში.

17 ივლისი.

**პეტერბურგი.** გოფმეისტერი გრაფი ტოლსტოი დანიშნულ იქმნა ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. გამოცხადებულია დებულება საერო გარდასახადის წესრიგის შეცვლისა და უძრავ მამულების დაფასებისა საერო გარდასახადის დასადებად. „სავაჭრო სამრეწველო“ გაზეთი იუწყება, რომ სასანიტარო მდგომარეობა ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკისა, რომელიც 15 ივლისს დაიწყო, ურიგო არ არის; ხალხი იარმუკაზედ გაცილებით მეტი მოდის, ვიდრე შარშან იყო.

ფინანსთა სამინისტრო სპარსეთში ჰგზავნის საგანგებო საქმეთა მოხელეს ტამარს, იქაურ ვაჭრობის გასაცნობად. ამავე დროს გზათა სამინისტრო ჰგზავნის რამდენსამე ინჟენერს სპარსეთში სავაჭრო გზების დასათვალიერებლად და გამოსაკვლევად, რა დაჯდება ამ გზების შეკეთება.

**პარიჟი.** ბანგკოკიდგან იუწყებიან, რომ გუშინ სასახლეში ბჭობა გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ მეფის ძმები და მინისტრები. გაიმარჯვა მშვიდობიანობის მოსურვე დასმე. სიამის მინისტრ-რეზიდენტს პარიჟში დეპეშით ებძანა საფრანგეთის ულტიმატუმი შეუცვლელად შეიწყნაროს. ინგლისის მინსტრ-პრეზიდენტს ეს ამბავი წამსვე შეატყობინეს. უცხოელთა თითქმის ყველა გემებმა სიამი ორშაბათზე ადრე დასტოვეს.

**ლონდონი.** სიამის მთავრობამ შეიწყნარა ყველა მუხლი საფრანგეთის ულტიმატუმისა.

18 ივლისი.

**ტაშკენტი.** დღეს აქ აკურთხეს განყოფილება ვოლჟსკო-კამსკის ბანკისა, სხვა და სხვა წოდებათა უწყების წარმომამადგენელთა თანადასწრებით. ბანკის კონტორები დაარსდება კოკანდსა, მარგელანსა, ანდიჟანსა, ნამანგანსა და ხოჯენტში.

**ვენა.** ვენგრიის მთავრობამ აკრძალა სლავიანთა პოეტის იან კალარის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების გამო დღესასწაულის გადახდა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,66 | 7,69 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152³/₄ | 153³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 241¹/₄ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 225¹/₄ | — ,, | — ,, |
| 4⁰/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 194¹/₄ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6⁰/₀. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში რ ა ო ბ ი ვით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაზღლოდაც

## განცხადებანი


# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—72)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |

# გამოსადეგი ცნობანი
# პირველი კერძო სამკურნალო
## ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა..

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7¹/₂—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

# ალექსი თუთაევის
## ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
### ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20⁰/₀-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნებისშოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—28) ალ. თუთაევი

გამოვიდ და აისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

**ახალი წიგნი**

## ვალერიან გუნიასი

# დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აქეთ, არც იქეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

ფასი 50 კაპ.


Доз. ценз. Тифлисъ, 19-го Іюля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე